



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
2016 წლის ანგარიში



## მოკლე მიმოხილვა

12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში რატიფიცირებულ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“. ეს 12 წელი იყო რეფორმის განხორციელების მოსამზადებელი პერიოდი. ჩვენ ახლა ვიმყოფებით განსაკუთრებულ პერიოდში, როდესაც რეალურად ვუერთდებით თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას.

საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის მიღების შემდგომ ჩატარდა არჩევნები, განხორციელდა სხვა მრავალი აუცილებელი პროცედურები, რაც თან ახლდა თვითმმართველობის დანერგვას. 2014 წლის ივნისიდან კი რეალურად დავიწყეთ მუშაობა, რასაც ქვია თვითმმართველობა.

თვითმმართველობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი პრობლემები, თავისი პასუხისმგებლობით თვითონ უნდა მართოს მუნიციპალიტეტი მოსახლეობის ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბაზაზე შეიქმნა ორი ტერიტორიული ერთეული; ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

რა მოგვიტანა ჩვენ ამ დაყოფამ, რა არის დადებითი შედეგები?! ცნობილია, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას მეტი ყურადღება ექცეოდა, გამოიყოფოდა კიდევ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის არ იყო შესაბამისი სტრატეგია შერჩეული და გამოკვეთილი.

ცხადია, ასეთ პირობებში ალბათ შეუძლებელიც იყო სოფლის ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული და ინტენსიური განვითარება.

ჩვენ დავისახეთ მიზნად, რომ ქალაქის განვითარების პარალელურად განვავითაროთ სოფლის ინფრასტრუქტურა, რომ სოფელი შინაარსობრივად დავუახლოვოთ ქალაქს, შევექმნათ სოფელში შესაბამისი მიკრო გარემო და შესაბამისი სერვისები.

აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა სოფლის მოსახლეობაზე მორგებული, რეალურად განხორციელებადი ხანგრძლივი პერიოდის სამოქმედო გეგმის შედგენა.

მოსახლეობის ჩართულობით შევარჩიეთ განვითარების პრიორიტეტები, მოსახლეობის კრებებზე მივიღეთ კონკრეტული პროექტები, განვიხილეთ საკრებულოზე სამოქმედო გეგმა და წარვადგინეთ ზემდგომ ორგანოებში დასაფინანსებლად.

ჩვენს მიერ შერჩეული სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის დევიზი ასეთია: „დავუახლოვოთ სოფელი ქალაქს“ .

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებული ბიჯეტი შეადგენდა 16 400 000 ლარს.

2016 წლისათვის მივიღეთ ბიუჯეტი, რომელშიც ასახულ იქნა ჩვენი სამოქმედო გეგმის სტრატეგია და შერჩეული პრიორიტეტები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

#### **ძირითადი პრიორიტეტებია:**

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
3. განათლება;
4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

#### **1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;**

2016 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების პროექტების რეგიონალური ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ განხორციელდა 317 ინფრასტრუქტურული პროექტი, რაზედაც მიმართულ იქნა 8 მილიონამდე ლარი. მიმდინარეობს პროექტების ნაწილის დასრულების პროცესი.

#### **\* საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, ახლის მშენებლობა, აღნიშნული სამუშაოების შესრულებამ მნიშვნელოვანი ეფექტი მოიტანა. მოსახლეობას მიეცა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან 2016 სულ დაფინანსდა 10 პროექტი, ღირებულებით 4 317 514 ლარი.

1. ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა (მეორე ეტაპი)-363 164 ლარი;
2. ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-440 007 ლარი (სამუშაოები დასრულდა);

3. გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (გრიგოლიშის ცენტრიდან ზუგდიდი-ყულიშკარის საავტომობილო გზამდე) პირველი ეტაპი-564 999 ლარი;
4. კოკი-ორსანტიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-800 000 ლარი;
5. დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (დარჩელის ცენტრიდან ტელმანის უბნის ცენტრამდე) პირველი ეტაპი-505 694 ლარი;
6. ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-400 000 ლარი (სამუშაოები დასრულდა);
7. ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-130 000 ლარი;
8. ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები-576 175 ლარი;
9. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-500 000 ლარი;
10. კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა - 313 369 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან 2016 წელს განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა შეადგენს 307 პროექტს, რომლის ღირებულება შეადგენს 1 649 317 ლარს, აქედან დაფინანსებულია 220 პროექტი ღირებულებით-1 577 364 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება შეადგენს 500 000 ლარი.

გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში ხიდების და ბოგირების რეაბილიტაცია-მშენებლობა განხორციელდა.

არსებული განათების ქსელის გაფართოება და ახალი ქსელის მშენებლობა;

**\* სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მიმდინარე 2016 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა უმეტეს სოფლებში სანიაღვრე არხების მოწყობა, რისთვისაც მიმართულ იქნა 200,0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, ა. (ა). ი. პ. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“ აქტიურად არის ჩართული სოფლებში სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის საქმეში.

## ✳ საბავშვო ბაღები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საქმეს;

- მიმდინარეობს ახალკახათის საბავშვო ბაღის მეორე ეტაპის მშენებლობა, გამოყოფილია შესაბამისი თანხები.
- ასევე მზად არის შამგონისა და რუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების მშენებლობის პროექტები, რომელიც 2017 წელს დაიწყება და დასრულდება.

## ააიპ „ზუგდიდ დასუფთავება“- ის სამსახურის ანგარიში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა-განთავსების პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს თვალსაზრისით.

2016 წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა დასუფთავების არეალი. 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასუფთავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეძენილ იქნა ნაგვის კონტეინერები და ორი ნაგავმზიდი, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანადაფინანსებით მუნიციპალიტეტმა შეიძინა სანაპირო ზოლის გამწმენდი მანქანა.

აღსანიშნავია ის, რომ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნაგვის გატანა ადრე არ ხორციელდებოდა, ძირითადად 2016 წელს დაიწყო შესაბამისი მარეტიალური ბაზის შექმნა და მისი ფუნქციონირება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკაში ინერგება კონტეინერული და კარდაკარ შემოვლითი მომსახურების დანერგვა.

ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზოლის უკეთ დასუფთავების მიზნით გაუმჯობესებულ იქნა ა.ა.ი.პ. „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

	1	2
1	მუნიციპალიტეტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
2	მუნიციპალიტეტის ტერიტორია	665 კვ. კმ, 48 ტერიტ.ერთეული (სოფელი)
3	მოსახლეობის რაოდენობა	65 505 კაცი
4	მოსახლეობის რა ნაწილს ემსახურება დასუფთავების სამსახური	10 %
5	სახელმწიფო დაწესებულებების რაოდენობა	2
6	კომერციული დაწესებულებების რაოდენობა	105
7	საზოგადოებრივი კვების ობიექტების რაოდენობა	10
8	სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა	87
9	კონტეინერების რაოდენობა	673 ცალი
	მშ კონტეინერები მეტალის 1,1 კუბ.მ. მოცულობის	127 ცალი
	ურნა პლასტმასის ბორბლებზე 240 ლიტრიანი	175 ცალი
	ურნა პლასტმასის ბორბლებზე 80 ლიტრიანი	150 ცალი
	ურნა პლასტმასის 50 ლიტრიანი , ჩამოსაკიდი	80 ცალი
10	ნარჩენების გატანის პერიოდულობა	დღეში ერთხელ
11	კონტეინერის წონა, კგ	--
12	კონტეინერის მოცულობა მ3	--
13	ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობა	2015 წელს 25550 მ3, 9631 ტონა 2016 წელს 30 000მ3, 11308 ტონა
14	რაიონში ნაგავსაყრელების რაოდენობა	1
15	სად მდებარეობს ნაგავსაყრელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ცაცხვში მდებარე ნაგავსაყრელში, რომელიც არის ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში
16	გაგვაჩნია თუ არა ნარჩენების გადამუშავების / უტილიზაციის ობიექტები	არა

**კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და  
სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში.**

**ინფორმაცია**

1	საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ქორეოგრაფიის კავშირ ამაგდარისა და ბრწყინვალეების ორდენოსანის, ანსამბლ „ჩელა“-ს დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „ოდიში“-ს ქორეოგრაფ-კონსულტანტის რეზო ბულიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამოსათხოვარი ღონისძიებისათვის ყვავილების თაიგულის შესყიდვა.	9 თებერვალი	100 ლარი
2	ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ყვავილების შესყიდვა.	8 მარტი	450 ლარი
3	ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ვარდებისა (100 ლარი) და ხელთნაკეთი დეკორატიული ხეების (999.6 ლარი) შესყიდვა.	21 მარტი	1099.6 ლარი
4	ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ბუცა კანკიას 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით საჩუქრად გადასაცემი ყვავილების თაიგულის შესყიდვა.	21 მარტი	80 ლარი
5	ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის ტერიტორიასა და დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში საქართველოს პირველი პრეზიდენტის მემორიალური ძეგლების ყვავილების თაიგულით შემკობა.	31 მარტი	200 ლარი
6	ღვაწლმოსილ ქორეოგრაფ გურამ ჭკადუასადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების საჭიროებისათვის ყვავილების თაიგულის შესყიდვა	6 აპრილი	50 ლარი
7	9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის დღეს მემორიალური ძეგლის შესამკობად ყვავილების თაიგულის შესყიდვა	9 აპრილი	100 ლარი
8	მეორე მსოფლიო ომის გმირების საფლავების ყვავილების თაიგულით შეამკობა.	9 მაისი	350 ლარი

9	ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მემორიალურ ძეგლების ყვავილების თაიგულით შექმნა	26 მაისი	200 ლარი
10	მწერალთა კავშირის წევრის, შოთა რუსთაველის პრემიისა და კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის „საერთაშორისო ადამიანი“-ს წოდების ნომინანტ თამაზ ჭილაძეს იუბილესთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ალაფურშეტიტ მომსახურების შესყიდვა	28 მაისი	704.55 ლარი
11	ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვთა გასართობი კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ორგანიზება	1 ივნისი	2150 ლარი
12	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტ-ახალგაზრდობისთვის შემეცნებით-კულტურული ექსკურსიისა და ლექცია სემინარის ფარგლებში ალაფურშეტიტ მომსახურების შესყიდვა.	4 ივნისი	472.5 ლარი
13	ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების საზაფხულო ფესტივალ-დათვალიერების „ზაფხული 2016“ ღონისძიების ფარგლებში სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლის მოსწავლეების, ცეკვის ანსანბლ „ეგრისის“ ტრანსპორტირების (მარშუტი: ზუგდიდი-თბილისი-ზუგდიდი პროფკავშირების კულტურის სასახლეში) მომსახურების შესყიდვა	5 ივნისი	1150 ლარი.
14	სკოლის კურსდამთავრებულთათვის „ბოლო ზართან“ დაკავშირებით კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.	9 ივნისი	12400 ლარი
15	მწერალ დავით ტურაშვილის შემოქმედებით სადამოსთან დაკავშირებით (რომელიც გაიმართა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტ რუხის საჯარო სკოლაში) ალაფურშეტიტ მომსახურება.	10 ივნისი	689.50 ლარი



16	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საჩუქრად 120 ერთეული ბრენდირებული მაისური გადაეცა.	17 ივნისი	1800 ლარი
17	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „ოდიშთან“ არსებული ანსამბლ „ცისკარის“ 15 წლის საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებით ყვავილების თაიგულის შესყიდვა	10 ივლისი	100 ლარი
18	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტულ-კულტურული ღონისძიებების „ავტო-მოტო შოუ“-ს მოწყობა-ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.	30-31 ივლისი	3680 ლარი
19	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების დავით ჯიქიასა და ბადრი ბერაძეს საფლავების ყვავილების თაიგულით შემკობა	8 აგვისტო	100 ლარი
20	მხატვარ მიხეილ (მაცი) ხორავას ალბომის გამოცემასთან დაკავშირებით ფერწერული ტილოების, მცირე ზომის სკულპტურების, გრაფიკული ნამუშევრების, ფოტოგრაფირებისა და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებების შესყიდვა.	17 აგვისტო	3000 ლარი
21	საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადები“-ს მონაწილეთათვის გადაყვანა-გადმოყვანის სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა	30 აგვისტო	500 ლარი
22	„ზუგდიდობის“ სახალხო დღესასწაულისთვის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.	10 სექტემბერი	69324 ლარი
23	100 (ასი) წელს გადაცილებულ რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ-ვენერა ღურწკაიას იუბილესთან დაკავშირებით, საჩუქრად გადასაცემი ყვავილების თაიგულის შესყიდვა.	5 ოქტომბერი	50 ლარი

24	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მრავალშვილიანი, ონკოლოგიურად დაავადებული მოქალაქის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ყვავილების თაიგულის შესყიდვა	14 ოქტომბერი	100 ლარი
25	მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით, მემორიალური ძეგლის ყვავილების თაიგულით შემკობა.	13 ოქტომბერი	100 ლარი

სულ ჯამი: 141 203.65 ლარი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური პროგრამები:**

**ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა - (060301) გახარჯულია 21600 ლარი, მათ შორის:**

- 10000 ლარი-10 ბენეფიციარზე, რომლებიც 100 წელს გადასცილდნენ, (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით);
- 3800 ლარი - 38 მარტოხელა მოხუცზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);
- 7800 ლარი - 39 სოციალურად დაუცველი, გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);

**ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებები- (060302)**

**გახარჯულია 17450 ლარი, მათ შორის:**

- 1250 ლარი - 5 ბენეფიციარზე, გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისთვის ფინანსური მხარდაჭერის სახით (თითოეულს 250 ლარის ოდენობით);
- 3600 ლარი - მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 5-3 ვეტერანზე (2015 ნოემბერ-დეკემბერში თითოეულს ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, 2016 წ თითოეულს 100 არის ოდენობით)
- 5000 ლარი - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 5 ვეტერანზე (თითოეულს 1000 ლარის ოდენობით)
- 6600 ლარი - 9 მაისი დღესასწაულთან დაკავშირებით 33 ზურგის მუშაკზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით)
- 1000 ლარი - 8 აგვისტოს ომში დაღუპული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის სახით.

**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამისთვის (060303) -გახარჯულია 36300 ლარი ; მათ შორის:**

- 1800 ლარი - დედ-მამით ობოლი 6 ბავშვისთვის (თითოეულს 300 ლარის ოდენობით),
- 5400 ლარი - 27 ბენეფიციარზე, შვილის შეძენასთან დაკავშირებით (უმწეო კატეგორიის ადგილობრივ და დევნილ ოჯახებზე, თითოეულს 200 ლარის ოდენობით, პირველი და მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით).
- 20400 ლარი - 90 მრავალშვილიანი ოჯახისათვის (თითოეულს 200-500 ლარი).
- 500 ლარი-ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდასაჭერად (1 ბენეფიციარზე).
- 6200 ლარი - 21 მარტოხელა დედაზე (თითოეულს 2015 წ - 200 ლარის, 2016 წ- 300 ლარის ოდენობით).
- 2000 ლარი - 4 ბენეფიციარზე, ტყუპის შეძენასთან დაკავშირებით.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა (060304) - გახარჯულია 112700 ლარი; მათ შორის:**

- 61900 ლარი - 619 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთათვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- 18000 ლარი - 90 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 31100 ლარი - შშმ პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა მომვლელთათვის (ყოველთვიურად 23-35 ბენეფიციარს 100 ლარის ოდენობით).
- 1700 ლარი 17 სმენა და მეტყველება დაქვეითებულ ბენეფიციარზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

**მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (060305) - გახარჯულია 43200 ლარი.**

43200 ლარი - 220 მარჩენალდაკარგულ ბენეფიციარზე (თითოეულს 2015 წ- 100 ლარის, 2016 წ -200 ლარის ოდენობით).

**სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა (060307) - გახარჯულია 22735- ლარი.**

ახალი წლის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 7 (ადგილობრივი და დევნილი) ვეტერანის, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა დედების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების სასაჩუქრე პაკეტისათვის.

**სოფელ ხურჩის მოსახლეობის მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსება და დიალიზის პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსება (060308) - გახარჯულია 48411 ლარი; მათ შორის :**

- 35900 ლარი - დიალიზის პროგრამაზე მყოფ 27-31 ბენეფიციარზე (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

- 11311 ლარი - სოფელ ხურჩას მოსახლეობის მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსება.
- 1200 ლარი - უმწეო კატეგორიის 12 სტუდენტზე.  
სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა (060309) - გახარჯულია 79300 ლარი, მათ შორის:
- 57200 ლარი - ხანძრის, სტიქიის და მეწყერის შედეგად დაზარალებულ 87 ოჯახზე (თითოეულს 300-1000 ლარის ფარგლებში).
- 22100 ლარი - 17-36 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

**დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა (060310) - გახარჯულია 30200 ლარი, მათ შორის:**

- 13600 ლარი - 68 გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 16600 ლარი - 166 სოციალურად დაუცველი, მარტოხელა დედა, მრავალშვილიანი, დედ-მამით ობოლი, უმწეო და ონკოლოგიურად ავადმყოფ დევნილზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

**უმწეო ოჯახების გათბობის საშუალებათა მხარდაჭერის პროგრამა (0606)- გაიხარჯა 141900 ლარი:**

- 71100 ლარი - 711 ბენეფიციარზე თითოეულს 100 ლარის ოდენობით.  
უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (0605):

შერჩეულია 2015 წელს 16 ოჯახი, 2016 წელს კი 25 ოჯახი, რომლებსაც აუშენდათ საცხოვრებელი სახლები - გახარჯულია 670979,14 ლარი

სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება, გახარჯულია 17952,54 ლარი (4 პროექტი);

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ჩატარებული და დაგეგმილი სპორტული

ღონისძიებები და ხარჯები

#	პროექტის დასახელება	თარიღი	შემსრულებელი	გახარჯული თანხა
1	მუნიციპალიტეტის ღია პირველობა (ძიუდო, კარატე, კრივი)	12-26 მარტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სპორტის ცენტრი	512
2	საქართველოს თასი სპორტულ ცეკვებში.	19 მარტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სამეგრელოს სპორტული ცეკვის ასოციაცია	891
3	სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	5-31 მარტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი	300
4	ნატოს კვირეული კროსი	8 აპრილი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნატოს წარმომადგენელი სამეგრელოში	101
5	მუნიციპალიტეტის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში	9 აპრილი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სპორტის განვითარების ცენტრი	375
6	კოლხეთის თასი ძიუდოში	9-10 აპრილი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სამეგრელოს ძიუდოს ფედერაცია	561
7	ევროკავშირის კვირეული ჭადრაკში	14 მაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ევროკავშირის წარმომადგენელი სამეგრელოში	81
8	თ. ჩიქოვანის ხსოვნის	16 მაისი	ზუგდიდის	137

	ტურნირი, ფრენბურთში და ფეხბურთში		მუნიციპალიტეტი სპორტის განვითარების ცენტრი	
9	მუნიციპალიტეტის ძალოსნების სასაჩუქრე ქამრები, ფინკები.	მაისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	599
10	„მხიარული თამაშები“ (საბავშვო ბაღები)	2-10 ივნისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ააიპ „სააღმზრდელო-სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი“	416
11	მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში, ფრენბურთში, მკლავჭიდიში.	1-14 ივნისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სპორტის განვითარების ცენტრი	556
12	საკურორტო სეზონის გახსნა, (ქვიშის ფეხბურთი, ქვიშის ფრენბურთი, მკლავჭიდი).	27-28 ივნისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“	791
13	მუნიციპალიტეტის პირველობა კრივში, საჩუქრები მოწინავე მოკრივეებს	29-30 ივნისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1950
14	ხსოვნის ტურნირი კოვში. ფრენბურთსა და ფეხბურთში	ივლისი აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ააიპ „სპორტის ცენტრის განვითარების ცენტრი“ კოვის ადმინისტრაციული ერთეული	364
15	„ავტო მოტო შოუ“	30-31 ივლისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ზუგდიდის მერია, „ავტო მოტო“-ს საქართველოს ფედერაცია	404

16	ხსოვნის ტურნირი ცაცხვში (ფრენბურთში)	აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ცაცხვის ადმინისტრაციული ერთეული	60
17	2008 წელს რუსეთ - საქართველოს ომში დაღუპულ დ. ჯიქიას ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში	7-8 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სპორტის ცენტრი, რიყეს ადმინისტრაციული ერთეული	1040
18	ქვიშის ფეხბურთი, ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში.	20-21 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სპორტის ცენტრი	353
18	მარიამობის დღესასწაული ცხენოსნობა ერგეტის ადმინისტრაციულ ერთეულში.	28 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სპორტის ცენტრი ერგეტის ადმინისტრაციული ერთეული	114
19	მუნიციპალიტეტის პირველობა ძალოსნობაში, მოწინავე ძალოსნებს საჩუქრად ძალოსნის ფეხსაცმელები	2 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1000
20	სახალხო დღესასწაული „ხურჩაობა“	24 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ხურჩის ადმინისტრაციული ერთეული	302
21	ზონალური სპორტული შეჯიბრებები ინგირი	15 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ინგირის ადმინისტრაციული ერთეული	605
	სულ ჯამი			11512

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წლის მესამე კვარტალში ჩატარებული და დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები და ხარჯები**

1	ხსოვნის ტურნირი კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფრენბურთი, ფეხბურთი;	ივლისი აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“, კოკის ადმინისტრაციული ერთეული	364
2	„ავტო მოტო შოუ“	30-31 ივლისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ზუგდიდის მერია, „ავტო მოტო“-ს საქართველოს ფედერაცია	404
3	ხსოვნის ტურნირი ცაცხვში, (ფრენბურთში).	აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ცაცხვის ადმინისტრაციული ერთეული	60
4	2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ დ. ჯიქიას ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთი რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში.	7-8 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი „სპორტის განვითარების ცენტრი“, რიყეს ადმინისტრაციული ერთეული	1040
5	ქვიშის ფეხბურთი, ანაკლიის ადმინისტრაციული ერთეულში	20-21 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი „სპორტის განვითარების ცენტრი“	353
6	მარიამობის დღესასწაული „ცხენოსნობა“ ერგეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	28 აგვისტო	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი „სპორტის განვითარების ცენტრი“ ერგეტის ადმინისტრაციული	114



			ერთეული	
7	მუნიციპალიტეტის პირველობა ძალოსნობაში, მოწინავე ძალოსნებს საჩუქრად გადაეცათ ძალოსნის ფეხსაცმელები	2 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1000
8	სახალხო დღესასწაული „ხურჩაობა“	24 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ხურჩის ადმინისტრაციული ერთეული	302
9	ზონალური სპორტული შეჯიბრებები ინგირში	15 სექტემბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ინგირის ადმინისტრაციული ერთეული	605
	სულ ჯამი			4242

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი:0402)

2016 წლის 1 იანვრიდან 11 ნოემბრამდე შესრულების ანგარიში

N	სკოლის დასახელება	დანიშნულება	თანხა(ლარი)
1	ოქტომბერის საჯარო სკოლა	სკოლის ფოიეს რეაბილიტაცია	4364,50
2	ინგირის N2 საჯარო სკოლა	გაზიფიცირების თანადაფინანსება	13508,44
3	ცაიშის საჯარო სკოლა	სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება (კერძოდ: შიდა კიბისა და კორიდორის მოწყობა)	3804
4	რუხის საჯარო სკოლა	სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია	5558,82

5	ახალბასთუმანის საჯარო სკოლა	საბუნებისმეტყველო კაბინეტის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება	958
6	გრიგოლიშის საჯარო სკოლა	სკოლის ეზოს შემოკავება	9890
7	ოდისის N1 საჯარო სკოლა	სკოლის ეზოს ბილიკის მოწყობა-	3000
8	კახათის N1 საჯარო სკოლა	სკოლის ეზოს შემოკავება	12974,25
9	ყულიშკარის საჯარო სკოლა	კვების ბლოკისათვის ოთახის რეაბილიტაცია	4459
<b>ჯამი:</b>			<b>58517,01</b>

**განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (0405)  
2016 წელი**

N	დაფინანსების მიმღები	დანიშნულება	თანხა ლარში
1	ირაკლი ჯიქია, ედუარდ ციკოლია, თაბუკა ჯიქია	ბერლინის საზაფხულო სკოლაში მგზავრობის დაფინანსება	1479,10
2	ანა კუხალეიშვილი	ბულგარეთის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში მონაწილეობისა და მგზავრობის დაფინანსება	990
	<b>სულ</b>		<b>2469,10</b>

ახალგაზრდულ საქმეთა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

2016წ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 05 03 კოდით გათვალისწინებული ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შეადგენდა 45000 ლარს. დღემდე ათვისებულ იქნა-27831.27 ლარი.

1. „ბოლო ზარი“ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩუქარი 2015-2016 წწ. სკოლის კურსდამთავრებულებს (შემეცნებით-გასართობი ექსკურსია)

1	გრიგოლიშის საჯარო სკოლა	ქ. სიღნაღი	770ლ.
2	ანაკლიის საჯარო სკოლა	ქ. მესტია	370ლ
3	ყულიშკარის საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ
4	ოქტომბრის საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
5	ზედაეწერის საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
6	ინგირის N2 საჯარო სკოლა	ქ. სიღნაღი	1540ლ.
7	ინგირის N1 საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
8	ორულუს საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
9	დარჩელის N2 საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ
10	რუხის საჯარო სკოლა	რაჭა	1060ლ.
11	რიყის საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ.
12	ორსანტიის საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ
13	ტყაიის საჯარო სკოლა	ქ. სიღნაღი	770ლ.
14	დიდინემის საჯარო სკოლა	ქ. ბათუმი	240ლ.
15	ცაიშის საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
16	კორცხელის საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ.
17	ახალკახათის საჯარო სკოლა	ქ. ბათუმი	240ლ
18	შამგონის საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ.
19	დარჩელის N1 საჯარო სკოლა	ქ. მესტია	370ლ.
20	ჭაქვინჯის საჯარო სკოლა	ქ. მესტია	370ლ.
21	ახალაბასთუმანის საჯარო სკოლა	რაჭა	530ლ.
22	განმუხურის საჯარო სკოლა	ქ. მესტია	370ლ.
23	ა.ა.ი.პ. „საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზია“	ქ. ბათუმი	240ლ.
24	ოდიშის N2 საჯარო სკოლა	ვარძია	540ლ.
25	ოდიშის N1 საჯარო სკოლა	მესტია	350ლ.
26	ზედაეწერის საჯარო სკოლა	ვარძია	540
27	ჩხორიას საჯარო სკოლა	ვარძია	540
	<b>სულ</b>		<b>14730</b>

2. ქალაქ თბილისში ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატზე ზუგდიდელი სპორტსმენების გულშემატკივართა მცირე ტევადობის ერთი ავტობუსით გადაყვანა-გადმოყვანის სატრანსპორტო მომსახურება - **450** ლარი.
3. პროექტები: „ყველაზე ჭკვიანი“ და „ჭკუის კოლოფი“-ში გამარჯვებული გუნდების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **479.40** ლარი.
4. „სკოლბურთი 2016“-ში მონაწილეების მისაღებად სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლის ფეხბურთელ გოგონათა გუნდის მცირე ტევადობის ერთი ავტობუსით ქალაქ ბათუმში გადაყვანა-გადმოყვანის სატრანსპორტო მომსახურება - **240** ლარი.
5. საქართველოს პირველი მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრში, ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებლების 70 სტუდენტ-ახალგაზრდის მცირე ტევადობის ოთხი ავტობუსით გადაყვანა-გადმოყვანის სატრანსპორტო მომსახურება - **1800** ლარი.
6. ინტელექტის დღესთან დაკავშირებით ჩატარებული ინტელექტუალური კონკურსისა და დედამიწის დღესთან დაკავშირებით ახალბასთუმანის საჯარო სკოლაში კედლის გაზეთის კონკურსის გამარჯვებულების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **584.57** ლარი
7. 10 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჩატარებულ საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონი“-ს გამარჯვებულის ს.ს.ი.პ. ჭკადუაშის საჯარო სკოლის მოსწავლის - რუსიკო ანსიანის, დასაჯილდოვებლად სხვადასხვა სახის წიგნის შეძენა **298.19** ლარი.
8. ქალაქ ბერლინში გამართულ გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამარჯვებული - სსიპ ახალსოფელის საჯარო სკოლის მოსწავლეების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **237.20** ლარი.
9. სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ სამეგრელოს ბიუროს მიერ ნატოს კვირეულის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **239.94** ლარი.

10. ფოტო-კონკურსი სახელწოდებით „ფოტო-სინთეზი 2016“-ში გამარჯვებულების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **252.64** ლარი.
11. ინტელექტუალური კონკურსში-„ენის ხელოვნება“ გამარჯვებულების საპრიზო ფონდით უზრუნველყოფა - **144.39**ლარი.
12. ახალგაზრდული საკრებულოს წევრებისთვის შემეცნებითი ექსკურსია ყაზბეგში, ტრანსპორტით უზრუნველყოფა - **1290** ლარი.
13. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებით (მედალზე) კურსდამთავრებული მოსწავლეებისათვის საჩუქრად მობილური ტელეფონების შეძენა - **3299.94** ლარი
14. 26 სექტემბერს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 22.09.2016 წლის N01/1152 ბრძანებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის სხვადასხვა სპორტული ინვენტარის (ბურთები, სპორტული ხელთათმანები და სხვა) გადაცემასთან დაკავშირებით მცირე ტევადობის ერთი ავტობუსით ტრანსპორტირების მომსახურება - **400** ლარი
15. 14 სექტემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროგრამის - „საქართველოს მოხალისე“-ს ფარგლებში მონაწილე ზუგდიდელი ახალგაზრდების მცირე ტევადობის ერთი ავტობუსით გადაყვანა-გადმოყვანის სატრანსპორტო მომსახურება - **540** ლარი.
16. 20 ოქტომბერს, მედიაპროექტ - „ეტალონ“-ის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენა - **2845** ლარი.

**კულტურის ძეგლების მოვლისა და შენახვის პროგრამა**  
**ორგანიზაციული ბიუჯეტის კოდით 05 02 03**

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ღირებულება	ღონისძიების ჩატარების თარიღი	შენიშვნა
1.	<p align="center">ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა, გამოვლენა და პასპორტიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საძიებო-სადაზვერვო სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზება</p>	<p align="center">18 042.40 (თვრამეტიათასორმოცდაორი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით</p>	<p align="center">2015 წლის ნოემბერი - დეკემბერი - 2016 წლის იანვარი</p>	
2.	<p align="center">ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „კოლხური კულტურის“ ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის - „მუხუზი მაქაცარიას დიხაგუძუბაზე“ საველე-არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევა - ძიების სანებართვო მოსაკრებელი.</p>	<p align="center">50 (ორმოცდაათი) ლარი</p>	<p align="center">მაისი</p>	
3.	<p align="center">პროექტი „ნორჩი მკვლევარი“, მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის სამეცნიერო კონფერენცია.</p>	<p align="center">1090.60 (ერთიათასოთხმოცდაათი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი</p>	<p align="center">31 მაისი</p>	<p>ფინალურ ეტაპზე გამოვლინდა 28 თემა. გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი ხასიათის თემატურად შერჩეული წიგნები და სერთიფიკატები.</p>

4.	ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთულში მდებარე „შუხუზი მაქაცარიას დიხაგუძუბაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება.	საპროექტო ღირებულებაა 24 264 (ოცდაოთხიაათასორასამოცდაოთხი) ლარი	9 სექტემბერი - 9 ოქტომბერი	(ხელშეკრულება #195 09.09.2016 წ.)
----	--	---	----------------------------	-----------------------------------

**ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა  
(ორგანიზაციული კოდი 03 02 04)**

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ღირებულება	ღონისძიების ჩატარების თარიღი	შენიშვნა
1	პროექტი „ლაშქრობების გამყოლების მომზადება“	3970 (სამიათასცხრასამოცდაათი) ლარი	ივნისი	სპეციალურად შერჩეული ახალგაზრდებისათვის 5 დღიანი ლექცია - სემინარები და პრაქტიკული სავარჯიშოები.

რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ღირებულება	ღონისძიების ჩატარების თარიღი	შენიშვნა
1.	საერო-სახალხო დღესასწაულის „ვლადკერნობის“ საზეიმო ღონისძიებაზე ჩამოსული სტუმრებისათვის ტრაპეზის მომსახურების შესყიდვა.	10 000 (ათიათასი) ლარი.	15 ივლისი	
2.	კორცხელის დედათა მონასტრის გალავნის შემოსაზღვრის სამუშაოები.	15.000 (თხუთმეტიათასი) ლარი	აგვისტო-სექტემბერი	
3.	დარჩელის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის იატაკის მოპირკეთება	10.000 (ათიათასი) ლარი	აგვისტო-სექტემბერი	
4.	დიდინემის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის კელიების მშენებლობა	5000 (ხუთიათასი) ლარი	სექტემბერი-ოქტომბერი	
5.	ჯიხაშვარი ხარების სახელობის ტაძრის საკვირაო სკოლის მშენებლობა	5000 (ხუთიათასი) ლარი	სექტემბერი - ოქტომბერი	
6.	რიყის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის საკვირაო სკოლის მშენებლობა	5000 (ხუთიათასი) ლარი	სექტემბერი - ოქტომბერი	
7.	კოკის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის საკვირაო სკოლის მშენებლობა	5000 (ხუთიათასი) ლარი	სექტემბერი-ოქტომბერი	
8.	რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საკვირაო სკოლის მშენებლობა 5000 (ხუთიათასი) ლარი.	5000 (ხუთიათასი) ლარი	სექტემბერი-ოქტომბერი	



## ჯანდაცვის განყოფილება.

### 2016 წელს სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტების პროგრამით გაწეული სამედიცინო მომსახურებები :

- 251748.151 ლარით 996 მოქალაქეს დაუფინანსდა ძვირადღირებული მედიკამენტები.
- 90903.98 ლარით 114 მოქალაქეს გაეწია ოპერაციის თანადაფინანსება.
- 234935.2 ლარით 738 მოქალაქეს დაუფინანსდა “C” ჰეპატიტის დიაგნოსტიკა.
- 70438 ლარით სარეაბილიტაციო მკურნალობა დაუფინანსდა 21 ცერებრალური დამლითა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს.
- 35271.9 ლარით 145 მოქალაქეს დაუფინანსდა კომპიუტერული კვლევა (ტომოგრაფია, კორონაროგრაფია).
- აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 8 ბავშვი ამჟამად გადის რეაბილიტაციას. ერთ ბავშვზე წლიურად გამოიყოფა 3780 ლარი.
- ფენილკეტონური დიაგნოზით დაავადებულ 1 ბავშვს ყოველთვიურად ერიცხება 500 ლარი.

## სოფლის მეურნეობის სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ სოფ. დარჩელში აშენდა თხილის საშრობი საწარმო რომლის დაარსებასა და სამუშაოების შესრულებას მონიტორინგსა და თანადგომას უწევდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 900 000 ლარი. კოოპერატივში გაერთიანებული მეპაიეთა ჯამი შეადგენს 412 ბენეფიციარს.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარგის პროდუქციის ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოები (ძირითადად თხილის გადამამუშავებელი ქარხნები), კერძოდ: თხილის ნედლეულის და მისი გადამამუშავებელი 69 საწარმო, სადაც დასაქმებულია 2690 ადამიანი; სასათბურე მეურნეობა - 8 საწარმო, სადაც დასაქმებულია 95 ადამიანი; სხვა დანარჩენი (მეცხოველეობა, კომბინირებული საკვები, მეფუტკრეობა, ხილ ბოსტანი) 17 საწარმო, დასაქმებულია 240 ადამიანი. სულ წარმოების მოცულობა დაახლოებით 42,8 ათ. ტონას შეადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამელიორაციო სადრენაჟე სისტემები მოწყობილია 15,0 ათ. ჰა-ზე, საიდანაც რეაბილიტაცია/აღდგენა ჩაუტარდა 2,0 ათ ჰას.

### **მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების საკითხები.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს, მონაწილეობს და ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების საკითხების დადებითად გადაწყვეტას, ინვესტიციების მხარდაჭერას, აღნიშნულის მაგალითია უკანასკნელ პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობები:

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია შემსრულებლის ვალდებულებები, რომ მან უნდა დაასაქმოს იმავე სოფლის ადგილობრივი მაცხოვრებელი სადაც ხორციელდება პროექტი, ზემოაღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 320 პროექტის განხორციელებას, ცხადია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა აღნიშნულ პროექტებში გარკვეულწილად გააუმჯობესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო – სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თხილის საწარმო თვენახევარში აშენდა, სადაც შესაძლებელია დღიურად 24 ტონა თხილის გაშრობა და ერთდროულად 500 ტონა თხილის დასაწყობება. საწარმო 5 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით გადაეცემა სასოფლო – სამეურნეო კოოპერაცივს „დარჩელის თხილს“, რომელშიც 542 მეპაიეა გაერთიანებული.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ეთეულში, რომელიც აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს, მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრი „რუხი მოლი“ აშენდა; ცენტრში სავაჭრო ფართების გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები პუნქტი, მცირე სამაცივრე დანადგარები, ასევე, ფოსტა, აფთიაქი, ბანკი და ვეტერინარული კლინიკა არის განთავსებული. ობიექტზე 1000-მდე ადგილობრივი მუშა ხელია დასაქმებული.
- მრავალპროფილური კლინიკის ამოქმედების შემდეგ, რუხის და მისი მიმდებარე სოფლების, ჯამში, 14000 მცხოვრებს, სამედიცინო დახმარების მისაღებად, ზუგდიდში აღარ მოუწევს ჩასვლა; საავადმყოფო მოემსახურება აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებსაც. საავადმყოფოს მშენებლობა (შენობა და შიდა სამუშაოები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 41 მილიონ 264 ათას ლარს შეადგენს, რუხის მრავალპროფილურ

კლინიკაში დასაქმებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის ადგილობრივი მოსახლეობა

- პოლონურმა საერთაშორისო ჰოლდინგმა, „ტინეს კაპირალ ჯგუფმა“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. ჰოლდინგის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება სრულად შეესაბამება საქართველოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას.
- პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტით და კომპანია “STIMOR Associate”-ის თანადაფინანსებით, 8 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა და ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა ახალი სასათბურე მეურნეობა 5,5 ჰა.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და სლოვაკეთის საელჩოს ინიციატივით და თანადაფინანსებით განხორციელდა კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის მოწყობის პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 25 000 ლარი.